პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება ინოვაციისათვის

განხორციელების ვადა: 01.01.2019 - 31.12.2022

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 2 700 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
The World Bank

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის ვებსაიტები:

პროექტის აღწერა:

ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში ბიზნესის განვითარებას. ამ მიზნით არაერთი პროექტი ხორციელდება, რომელსაც საქართველოს ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში შეაქვს წვლილი. ეს პროექტი კი საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობს და ეხმარება გახდეს კარგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს ინოვაციისა და მეწარმეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის კოორდინაციას უზრუნველყოფს. ტექნიკური დახმარების პროექტი სააგენტოს შესაძლებლობას აძლევს უფრო მეტად დახვეწოს ინსტიტუციური შესაძლებლობები და გაზარდოს ეფექტურობა, შეამოწმოს ტექნოლოგიების ტრანსფერის შესაძლებლობები და გააუმჯობესოს ინოვაციურ, დამწყებ კომპანიებში ინვესტიციის შესაძლებლობები.
პროექტი:
•ზრდის სააგენტოს შესაძლებლობებს ანალიზისა და ტექნიკური დახმარების მეშვეობით
•აჩვენებს საქართველოში ტექნოლოგიების კომერციალიზაციის შესაძლებლობებს, ტექნოლოგიის გადაცემის პილოტური პროგრამის მეშვეობით, რომელიც კარგი პოტენციალის მქონე კვლევით პროექტებს არჩევს ბაზარზე გასატანად და კვლევით ჯგუფებს აკავშირებს პროექტების კომერციალიზაციით დაინტერესებულ კომპანიებთან
•თავს უყრის ადრეულ ეტაპზე ინვესტირეებულ კერძო კაპიტალს, ინოვაციურ კომპანიებს და განავითარებს სააგენტოს მიერ ადრეულ ეტაპზე დაფინანსების სქემებს, ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს ინოვაციურ ახალ ფირმებს.

მოსალოდნელი შედეგები:

•უფრო მეტი და უფრო მარტივად მხარდაჭერილი მეწარმეები და მცირე და საშუალო კომპანიები
•ინოვაციური წარმოებების და მცირე საწარმოების მხარდაჭერის უფრო ერთიანი მიდგომა
•უფრო მეტი გამოგონების გატანა ბაზარზე და გაზრდილი ინოვაციური ეკონომიკური საქმიანობა
•გაზრდილი წვდომა ფინანსებზე ინოვაციური ფირმებისთვის